სამაგისტრო პროგრამა:
„სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია“

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებით;
- გამოცდა ინგლისურ ენაში[1] (ან დადასტურება შესაბამისი სერთიფიკატით) – B2 დონე;
- გამოცდა სპეციალობაში[2] (შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე) - წერით გამოცდა სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ გეოგრაფიაში;
- საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

მისაღები გამოცდების შეფასების კრიტერიუმები

პროგრამაზე მოხვედრის მსურველმა უნდა ჩააბაროს 2 გამოცდა:

1. წერითი გამოცდა სპეციალობაში. საგამოცდო ბილეთში შედის 4 საკითხი. თითოეული მათგანი ფასდება 20 ქულით (სულ მაქსიმუმ 80 ქულა).

10 ქულა - საკითხის ცოდნა და გაცნობიერება:

- ✓ პასუხი სრულიად შეესაბამება დასმულ საკითხს (9-10 ქულა)
- ✓ პასუხი მეტწილად შეესაბამება დასმულ საკითხს (7-8 ქულა)
- ✓ პასუხი ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ საკითხს (4-6 ქულა)
- ✓ პასუხი ნაკლებად შეესაბამება დასმულ საკითხს (2-3 ქულა)
- ✓ პასუხი არ შეესაბამება დასმულ საკითხს (0-1 ქულა)

5 ქულა - საკითხის კრიტიკული შეფასება და ანალიზი

- ✓ პასუხი სრულიად აკმაყოფილებს კრიტიკული შეფასებასა და ანალიზს (5 ქულა)
- ✓ პასუხი მეტწილად აკმაყოფილებს კრიტიკული შეფასებასა და ანალიზს (4 ქულა)
- ✓ პასუხი ნაწილობრივ აკმაყოფილებს კრიტიკული შეფასებასა და ანალიზს (3 ქულა)

---

[1] ინგლისური ენის გამოცდისაგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს.

[2] შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

- ✓ პასუხი ნაკლებად აკმაყოფილებს კრიტიკული შეფასებასა და ანალიზს (2 ქულა)
- ✓ პასუხი არ აკმაყოფილებს კრიტიკული შეფასებასა და ანალიზს (0-1 ქულა)

5 ქულა - აკადემიური წერის სტილი და ენობრივი გამართულობა

- ✓ პასუხი სრულიად გამართულია აკადემიურად და ენობრივად (5 ქულა)
- ✓ პასუხი მეტწილად გამართულია აკადემიურად და ენობრივად (4 ქულა)
- ✓ პასუხი ნაწილობრივ გამართულია აკადემიურად და ენობრივად (3 ქულა)
- ✓ პასუხი ნაკლებად გამართულია აკადემიურად და ენობრივად (2 ქულა)
- ✓ პასუხი გაუმართავია აკადემიურად და ენობრივად (0-1 ქულა)

2. ზეპირი გამოცდა ინგლისურ ენაში (20 ქულა):

უცხო ენაში გასაუბრებისას სტუდენტებს მიეწოდებათ სპეციალობის რომელიმე საკითხის ინგლისურენოვანი ტექსტი (კომპონენტი ფასდება 20 ქულით). შეფასება ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმზე დაყრდნობით:

- ✓ ტექსტის თარგმანი სრულიად გამართულია (16-20 ქულა)
- ✓ ტექსტის თარგმანი მეტწილად გამართულია (11-15 ქულა)
- ✓ ტექსტის თარგმანი ნაწილობრივ გამართულია (6 -10 ქულა)
- ✓ ტექსტის თარგმანი ნაკლებად გამართულია (1-5 ქულა)
- ✓ ტექსტის თარგმანი გაუმართავია (0 ქულა)